



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 93

ქალაქი ქუთაისი      25      ივლისი      2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 25 ივლისს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №44 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, 2018 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დამაკმაყოფილებლად.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

## ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის  
მიერ 2018 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

2018 წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური მოსახლეობის დაავადებათა პრევენციისა და შემდგომი მკურნალობის ხელშეწყობის, აგრეთვე, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, 22 პროგრამას ახორციელებს.

2018 წლის 6 თვეში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა 9 300 განცხადება და მომართვა.

### 1. სამედიცინო დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტია 650,0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურების თვალსაზრისით. დახმარებით ისარგებლა 1507-მა პირმა, მათ შორის თანადაფინანსდა „C“ ჰეპატიტით დაავადებული 10 ბენეფიციარის სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები. პროგრამის ფარგლებში გაწეულ მომსახურებაზე დახარჯულია 323 119.36 ლარი.

### 2. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტია 235,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 466 ბენეფიციარს და ჰემოდიალიზზე მყოფ 117 პაციენტს.

65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის დახმარება შეადგენს წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 130 ლარს.

ჰემოდიალიზზე მყოფი თითოეული პირის დახმარება თვეში, 100 ლარის ღირებულების მედიკამენტებით არის განსაზღვრული.

საანგარიშო პერიოდში, ბენეფიციართა მომსახურებისათვის საჭირო თანხამ შეადგინა 116 583,53 ლარი.

### 3. ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტია 60,0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ანტიკონვულსანტებით დახმარება გაეწიათ ეპილეფსიით დაავადებულ პირებს. დახმარების მოცულობა 0-18 წლამდე ასაკის პირებისათვის შეადგენს 40 ლარს, ხოლო, 18 წლის ზემოთ ასაკის პირებისათვის – 30 ლარს.

საანგარიშო პერიოდში, დახმარებით ისარგებლა 168 ბენეფიციარმა.

პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯულმა თანხამ შეადგინა 24 411,83 ლარი.

### 4. ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტია 22,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ 17 პირს გაეწია მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში – 100 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9 900 ლარი.

### **5. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 6,0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებას თვეში, 100 ლარის ოდენობით.

პროგრამის ფარგლებში დახმარებით სარგებლობს 3 ბენეფიციარი, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1000 ლარი.

### **6. სარიტუალო დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 70000 ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად, 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დაფინანსდა 8 გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურების ხარჯი.

დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2100 ლარი.

### **7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 820,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, დახმარებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის მატერიალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე შეადგენს თვეში 40 ლარს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში – 30 ლარს.

დახმარება გაეწია 514 ოჯახის არასრულწლოვან ბავშვს. თანხა: 339950 ლარი.

24 მრავალშვილიან ოჯახს, მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენისას გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება (4 შვილის შეძენა – 16 ოჯახი, 16000 ლარი; 5 შვილის შეძენა – 5 ოჯახი, 5500 ლარი; 6 შვილის შეძენა – 2 ოჯახი, 2400 ლარი და 8 შვილის შეძენა – 1 ოჯახი, 1400 ლარი). დახარჯულია 25300 ლარი.

159 მრავალშვილიან ოჯახს, რომლებსაც 5 (ხუთი) და მეტი შვილი ჰყავს, გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება. დახარჯულია 92 900 ლარი (5 შვილის შეძენისას დახმარება შეადგენს 500 ლარს; 6, 7 და 8 შვილის შეძენისას – 700 ლარს, 9 და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარს).

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 5 და მეტი სრულწლოვანი შვილი) ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი პირის პროფესიულ სასწავლებლებში მოკლევადიანი სწავლების კურსის დაფინანსებას.

სულ საანგარიშო პერიოდში, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა დასახმარებელად გაიცა 458150 ლარი.

### **8. შინ მოვლის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 20,0 ათასი ლარი. საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარტასს“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2015 წლიდან ხორციელდება „შინ მოვლის“ პროგრამა. მომსახურება გაეწია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე 51 ბენეფიციარს, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან საწოლს, ან სახლს და საჭიროებენ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ მომსახურებას საცხოვრებელ ადგილზე.

დახარჯულმა თანხამ შეადგინა 7951,15 ლარი.

### **9. უფასო მგზავრობის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 210,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსით) უფასო გზავრობის უზრუნველყოფა. დახმარებით სარგებლობს 887 ბენეფიციარი.

დახარჯულმა თანხამ შეადგინა 74 822,40 ლარი.

### **10. სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 16,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მომხმარებელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ხარჯი.

საანგარიშო პერიოდში, სოციალურ საცხოვრისში ცხოვრობს 13 ოჯახი.

პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9 948,94 ლარი.

### **11. სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 200,0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების თანადაფინანსებას სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას (ელ. ენერჯია: 1 და 2 წევრიანი ოჯახები – 48 ლარი; 3, 4 და 5 წევრიანი ოჯახები – 72 ლარი; 6 და 7 წევრიანი ოჯახები – 96 ლარი; 8 და მეტ წევრიანი ოჯახები – 120 ლარი; დასუფთავება: ოჯახის თითოეულ წევრზე – 0,50 ლარი.

ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში მომსახურება ანაზღაურდა 66 908 ლარის ოდენობით.

### **12. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 150,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდათ სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს თვეში, 200 ლარს; ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვს, თვეში 200 ლარის ოდენობით (13 ოჯახის 16 ბავშვი). ჰემოდიალიზზე მყოფ პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. დახმარებით სარგებლობს 124 პირი. დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯულია 69 300 ლარი.

### **13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 25,0 ათასი ლარი. დახმარებით ისარგებლა სახელმწიფო პროგრამებით – „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 67-მა ბავშვმა.

პროგრამის ფარგლებში გახორციელდა თვეში 40 ლარის ღირებულების ჰიგიენური საფენების („პამპერსი“) და სველი საღვთეოქების შექმნა.

დახარჯულმა თანხამ შეადგინა 14602,94 ლარი.

#### 14. სოციალური ღონისძიებების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი 288,0 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას. კერძოდ, 1 იანვარს დაბადებული 3 ახალშობილის მშობელს გაეწია დახმარება, თითოეულს ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. დაიხარჯა – 4500 ლარი; 15 თებერვალს, ავღანეთის ომის ვეტერანებს (38 ბენეფიციარი) გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება, თითოეულს – 150 ლარის ოდენობით, დაიხარჯა – 5700 ლარი; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1963 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო ნობათი, დაიხარჯა 48 874,77 ლარი; 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის 21 მონაწილეს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება, დაიხარჯა 21 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის „სოციალური ღონისძიებების“ პროგრამის ბიუჯეტიდან დახარჯულია 144 055,28 ლარი. აღნიშნულ თანხაში შედის 2017 წელს ახალი წლის დღესასწაულის ღონისძიების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა – 56 178 ლარი, „წითელი ჯვრისა“ და ქუთაისის ვეტერანთა კავშირის სუბსიდიის ხარჯები.

#### 15. კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი 23,5 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებს აბსოლუტური სიყრუის მქონე და ყრუმუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

პროგრამის ფარგლებში კოხლევარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, 13 ბენეფიციარს გაეწია დახმარება. ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება – თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში, მომსახურების გამწევი კლინიკის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ანაზღაურდა 7 369,50 ლარი.

#### 16. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი 125,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/მცხოვრებ 2–15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9).

პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (ორი ორგანიზაცია) მიერ, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 43 ბავშვისათვის გაწეული მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში, მომსახურების ანაზღაურებისათვის საჭირო თანხამ შეადგინა 48 510 ლარი.

#### 17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 5 (ხუთი) ორგანიზაციისათვის თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.

დაიხარჯა 3 054,97 ლარი.

### **18. შპს პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 25,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში, კონკურსის საფუძველზე შერჩეულია 2 პროექტი.

### **19. მარტოხელა მშობელთა დამარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 12,0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელქტროენერჯის, წყალის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება 30 ლარის ოდენობით.

დახმარებით სარგებლობს 18 მარტოხელა დედა, დაიხარჯა 1 341 ლარი.

### **20. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 12,0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსური დახმარება.

საანგარიშო პერიოდში, მომართვა არ დაფიქსირებულა.

### **21. საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის“ ბენეფიციარების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 27,5 ათასი ლარი. საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის“ ბენეფიციარების დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე 20 ბავშვის დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება.

დახარჯულია 11076,53 ლარი.

### **22. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტია 8,4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 2 სტუდენტის სმენის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენა თვეში, 95 ლარის ოდენობით.

ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 2 სტუდენტის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.

სულ: პროგრამის ფარგლებში დახარჯულია 1367 ლარი.

**სულ სოციალურ საკითხთა სამსახურის ბიუჯეტიდან დახარჯულია 1 395 566 ლარი.**

**შენიშვნა:** წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომაზე, მ/წლის 25 ივლისს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა, გ.ჩიჯავაძემ.